

ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის მე-2 მიკრორაიონი N19 საცხოვრებელი სახლის N65 ბინაზე, მოქალაქე თედორე გაბიძაშვილისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა ბუხაიძის მე-2 მიკრორაიონის N19 საცხოვრებელი სახლის N65 ბინაში მცხოვრები მოქალაქე თედორე გაბიძაშვილის განცხადება /2013 წ. 12.02 Nგ-1111/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის მე-2 მიკრორაიონი N19 საცხოვრებელი სახლი N65 ბინა/ საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის მე-2 მიკრორაიონი N19 საცხოვრებელი სახლის N65 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე თედორე გაბიძაშვილს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძემ/ ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის მე-2 მიკრორაიონი N19 საცხოვრებელი სახლის N65 ბინაზე /საერთო ფართობი 50,07 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 26,42 კვ.მ. დამხმარე ფართობი 23,65 კვ.მ./ მოქალაქე თედორე გაბიძაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე